# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N964 2024 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი

**„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში)“ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძისა და ე. გუნცაძის დანიშვნის შესახებ**

1. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის $2^{4}$ პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში)“.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ შეთანხმებაზე, საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, გიორგი კაკაურიძე, და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, ეკატერინე გუნცაძე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე